

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე

„ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების და ქონების  
ლევალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი:

პროექტის მიღების მიზეზი მდგომარეობს ახალი „საჯარო სამსახურის  
კოდექსის“ პროექტის შემუშავებით რაც იწვევს წარმოდგენილი ამ საკანონმდებლო  
აქტში ცვლილებას.

ა.ბ) პროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია „საჯარო სამსახურის კოდექსის“ პროექტთან ნორმების  
შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) პროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, ნორმა, რომელიც მიუთითებს „საჯარო სამსახურში  
ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონზე, იცვლება  
„საჯარო სამსახურის კოდექსზე“ მიმთითებელი ნორმით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების  
წყარო:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯებს სახელმწიფო  
ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო  
ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით  
ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა  
მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

არ გააჩნია.

ბ.ვ) პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის  
გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

აღნიშნული პროექტი არ აწესებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობას.

გ) პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

გ.ა) პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ არის მიმართული ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობის დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ არის მიმართებაში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

პროექტის მომზადების პროცესში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სამთავრობო უწყებების დაერეთვე საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან და ორგანიზაციებთან დაკავშირებული კონსულტაციების შედეგები.

და) პროექტის მომზადების პროცესში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებმა/დაწესებულებამ, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილმა ექსპერტებმა, გაეროს განვითარების პროგრამის ამერიკის ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა.

დ.ბ) პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის დაწესებულების მიერ მონაწილეობა პროექტის მიმართ ასეთის არსებობის შემთხვევაში: პროექტის მომზადების შემდეგ რამდენჯერმე გაიმართა საჯარო მოსმენა-განხილვა.

დ.გ) პროექტის ავტორი:

საჯ. კონსულტაციების ბიუროსთან შექმნილი ექსპერტ-სპეციალისტთა ჯგუფი.

დ.დ) პროექტის ინიციატორი:

საპარლამენტო კონსულტაციების საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი.